კაჭარავას ნიკოლოზ სიმონის-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი ასისტენტს.

კახიძეს ლევან გრიგოლის-ძეს — სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კულტურის სახლის დირექტორს.

კევლიშვილს აკაკი ვიქტორის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსს.

კეზელს რაფიელ კონსტანტინეს-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხმის ოპერატორს.

კილენჯერიძეს ანტონ კირილეს-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორს.

კეფერაძეს ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს— სახნარის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს.

კერესელიძეს ვლადიმერ სიმონის-ძეს — პენსიონერს.

კერესელიძეს ქეთევან ივანეს ასულს —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ტელევიზიის მთავარ რედაქტორს.

მაკაკიანს ოგანეს ბარტუგამოსის-ძეს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის კინოოპერატორს.

მაისურაძეს გიორგი ილიას-ძეს — ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

მაისურაძეს ვახტანგ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროს ინსპექტორს.

მაყარიძეს ივანე იოსების-ძეს — გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

მამისაშვილს არჩილ ლაზარეს-ძეს — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორს.

მანდრიციას რომან ალექსანდრეს-ძეს — პენსიონერს.

მანოიძეს ბენიამინ ხარიტონის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის უფროს რედაქტორს.

ნოზაძეს ნინო გრიგოლის ასულს — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თანამშრომელს.

ნოღაიდელს აბმედ ასლანის-ძეს — ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საკლუბიურნო გუნდის ხელმძღვანელს.

ნაციაშვილს სიმონ იოსების-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლექტორს.

ოზიაშვილს ვახტანგ იოსების-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სურათის დირექტორს.

ორკონიკიძეს ვასილ სერაფიონის-ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტს.

ლორთქიფანიძეს თენგიზ ალექსანდრეს-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილეს.

მაგაკიანს ოგანეს ბარტუგამოსის-ძეს — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის კინოოპერატორს.

მაინერაძეს გიორგი ილიას-ძეს — ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

მაისურაძეს ვახტანგ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროს ინსპექტორს.

ლაფარიშვილს თამარ ვლადიმერის ასულს — „სოიუზპრიჩატის“ თელავის რაიონული საგაზეთო უფროსს.

ლაზარიშვილს ლაზარე გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების ინსპექტორს.

ლაფაურს სოლომონ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მთარგმნელთა რედაქციის უფროს რედაქტორს.

ლეონიაშვილს ზაქარია ნიკოლოზის-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოს უფროსს.

ლმბედლიშვილს გიორგი ზაქარიას-ძეს — ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უმცროს მეცნიერ-თანამშრომელს.

მხატვარს იასონ ლეონტის-ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელს.

ლაზარაძეს ტარასი ილარიონის-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმოების უფროსს.

ყვაბაძეს ალექსანდრე სამსონის-ძეს— პენსიონერს.

მგალობლიშვილს მიხეილ ვლადიმერის-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასაცენარო განყოფილების მთავარ რედაქტორს.

მგელაძეს ალექსანდრე ანტიფოს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ტელევიზიის მთავარ რედაქტორს.

ლაფაურს ალექსანდრე ანტიფოს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ტელევიზიის მთავარ რედაქტორს.

ლანჩავა ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

ზიბაძეს ალექსანდრე სამსონის-ძეს— ქ. ფოთის ა. ბ. ტალაკვაძის სახელობის ფოთის ოლქის ოფიცერთა სახლის ფოტოლაბორატორიის მთავარ რედაქტორს.

ზაზიკოვს ეფიმ ილიას ასულს — ბაკურიანის ალპინისტთა ბაზის ექიმ-ფიზიოთერაპევტს.

ზაზიკოვს ეფიმ ილიას ასულს — ბაკურიანის ალპინისტთა ბაზის ექიმ-ფიზიოთერაპევტს.

ზაზუნაშვილს ბორის ალექსანდრეს-ძეს — ბორჯომის ოლქის ოფიცერთა სახლის ფოტოლაბორატორიის მთავარ რედაქტორ

საერთაშორისო ცხოვრება

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲙᲣᲑᲐᲨᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ კუბის რევოლუციის გამარჯვების მეცხრე წლისთავის გამო გაიმართა პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

შემდეგ რევოლუციის მოედანზე მოეწყო მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ.

ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲚᲛᲐ ᲰᲐᲜᲝᲘᲡᲖᲔ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ამერიკული თვითმფრინავების დიდი ჯგუფი შეიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჰანოის რაიონში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, წინასწარი მონაცემებით, ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის ნაწილებმა სამი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ᲞᲐᲪᲘᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲐᲓ ᲣᲪᲕᲔᲜ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა დღეს ეცადნენ დაშინეს ამერიკის ჯდომეს სამხედრო-საჰაერო ბაზას სამხრეთ ვიეტნამში დანანგს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი გვაცყობინებს, ეცადნენ დაშინის მედეგად დაიხოცა ამერიკის ქვეითი ჯარის 8 ჯარისკაცი, გაანადგურეს სამხრეთვიეტნამელთა 4 და დაზიანეს 8 თვითმფრინავი, აგრეთვე ამერიკელთა 9 თვითმფრინავი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

ᲐᲓᲔᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ, 3 იანვარი. (საკდესი). ადის-აბებაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ჩეხოსლოვაკიის დახმარებით ეთიოპიაში აშენდება სალტის ქარხანა. მშენებლობის ღირებულება 14.5 მილიონი დოლარია. ჩეხოსლოვაკია ეთიოპიას მისცემს 9,5 მილიონ დოლარს სესხად, მიიწვდის ქარხნის მოწყობილობას, აგრეთვე მოამზადებს ადგილობრივ კადრებს. დანარჩენ 5 მილიონს გამოპყოფს ეთიოპიის მხარე.

ვარაუდობენ, რომ სალტის ქარხანა ამუშავდება 2-3 წლის შემდეგ. ყოველწლიურად ქარხანა გამოუშვებს 60 ათას ავტომობილს, 45 ათას კამერას, რაც 60 პროცენტით უზრუნველყოფს ეთიოპიის მოთხოვნილებას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). 1967 წლის დანაშაულობათა სტატისტიკა ინგლისში მოწმობს, რომ „ყველა დადგა შარაგზის ყარაღთა საუკუნე", წერს გაზეთი „დეილი ექსპრესი". 1950 წლიდან 1967 წლამდე საშუალო ინგლისელის გაძარცვის შესაძლებლობა გაიზარდა სამჯერ და მეტად, ამასთან შარშან გაიზარდა ძალის გამოყენებით დანაშაულობათა რიცხვიც. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბოროტმქმედთა მხოლოდ 30 პროცენტს ასამართლებენ და აძლევენ პასუხისგებაში. „დეილი ექსპრესი" შეშფოთებით წერს, რომ დამნაშავენი სრულყოფენ თავდასხმის იარაღს. ინგლისის სასამართლოებში იზრდება საქმეთა რიცხვი, აღნიშნავს გაზეთი, და ჭიანურდება საქმის გარჩევა. ეს სერიოზულად უშლის ხელს დამნაშავეობასთან ბრძოლას.

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ. 3 იანვარი. (საკდესი). რესპუბლიკური დემოკრატიული კავშირის მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიის გენერალურმა მდივანმა ხოვიტა ვილიალბამ მოითხოვა ვენესუელის კომუნისტური პარტიის, მემარცხენეთა რევოლუციური მოძრაობის ლეგალიზაცია და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების ძმების ედუარდო და გუსტავო მაჩადოების განთავისუფლება.

მან მოითხოვა აგრეთვე შეწყვიტონ დევნა პოლიტიკური მრწამსისათვის.

ᲡᲔᲙᲣ ᲢᲣᲠᲔ ᲒᲕᲘᲜᲔᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲐ

ᲓᲐᲙᲐᲠ. 3 იანვარი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქის კონაკრის რადიო იტყობინება, რომ გვინეის დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი აჰმედ სეკუ ტურე საყოველთაო არჩევნების შედეგად, რომელიც 1968 წლის 1 იანვარს მოეწყო, კვლავ აირჩიეს გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიურო და გვინეის მთავრობის წევრები თავიანთ წერილში ულოცავენ სეკუ ტურეს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ხელახლა არჩევას.

გვინეის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელმა კვლავ დაარღვია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი დაზავების შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ 1 იანვარს ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ადგილგადასაცვლებულ პირთა ბანაკს იორდანიის ტერიტორიაზე. დაზოგილია სამი და დაჭრილია ექვსი სამოქალაქო პირი.

იორდანიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერალურ მდივანს სთხოვა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა ისრაელმა შეწყვიტოს ასეთი მოქმედება, აგრეთვე აღნიშნაგს, რომ ისრაელი კვლავ უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ყველა არაბი ლტოლვილის მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შესახებ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატები. ათასამდე კაცმა — სტუდენტებმა, ომების ვეტერანებმა, ქალებმა კალიფორ ნიის შტატის ქალაქ ოკლენდში გასაწვევ პუნქტთან გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ომის წინააღმდეგ. პოლი ციამ 200-ზე მეტი კაცი დააპატიმრა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: დემონსტრაციის დროს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ 3 იანვარი. (საკდესი). 1968 წელს ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲡ

მეორე შეხვედრა ჯელეკრანთან

მოსკოვის მეორე საკავშირო სატელევიზიო ფილმების ფესტივალის გამო

სატელევიზიო ფილმების მეორე საკავშირო ფესტივალი ახლახან დამთავრდა. ასამდე ფილმის ავტორებმა, გულშემატკივრებმა, ჟიურის წევრებმა „სული . მოითქვეს“, დასრულდა ათასგვარი ვარაუდების მოლოდინი.

ბევრი დელეგატი, სპეციალისტი, ჟიურის წევრი ჩამოვიდა ამ ფესტივალზე, ბევრიც მოუკარული მოაწყდა. სატელევიზიო თეატრის ფოიებსა თუ დერეფნებში მათი ფუსფუსი უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე ტელევიზორების ეკრანებთან, რომლებიც „ერთი მუშა“ გულშემატკივრების წადილს დასაკმაყოფილებელ ისპრეზს უფრო ჰგავდა. ერთი შეხედვით შთაბეჭდილებაც ეი იქმნებოდა, რომ საავტორო ფილმებს მათი შეკმნელები უფრო ინტერესით ადევნებდნენ თვალს (საეგებისო რეაქციას მოლოდინში), ვიდრე „ბრეშე“ მაყურებელი.

მოსკოველი კოლეგები, რომლებიც უმრავლესობას წარმოდგენდნენ, უკვე კარგად ერკვეოდნენ მომავალი პროგრამის „შლამსა და სიმდიდრეში“, გულახდილად და საყმაოდ დაწვრილებით გვიზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ფილმების უმრავლესობა ჩასულებსაც ბევრს ჰქონდა ნანახი („ნახევარი საუკუნის მატიანე“, „მაიორი ვიხრი“, „წითელი, ცისფერი, მწვანე“ და სხვ.). ასეთმა საერთო ურთიერთდაკავშირებულებამ, მწვავე კამათის ვითარებამ შემოქმედებითს მუშაკებს ბევრი რამ შესძინა, უფრო მეტად დაფიქრა მომავალ გეგმებზე და ალბათო ახალი საქმისათვის.

მეგობრებთან გულახდილ საუბრებში ხანგრძლივ ჟიურის წევრებსაც ავიწყდებოდათ, რომ რაღაც „სიოფლოს“ შენახვაც ევალებოდათ.

„კედელი“ — სცენარის ავტორი გ. სანადირაძე, რეჟისორი ა. ნინუა, თბილისის ტელესტუდიის ნაწარმოები, არის „ჩვეულებრივი დღის“ ფირით გადმოცემული ერთი ლირიკული ანბავი. იგი თავისი ფსიქოლოგიური სიღრმით ცხოვრების მცირე მანძილზე ასაზავს ბავშვური სამყაროს სულიერი ქვეტექსტების ატმოსფეროსა და ტაფანტასიებს.

შეუძლებელია ვილაპარაკოთ „მცირეზე“ — იქ, სადაც ნაწილი წარმოდგენილ მთელს ამიტომ, რომ ტელეეკრანისათვის ტიპიურია სწორედ დეტალებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. ამ ფილმში ამოძრავებულია ის სწორი აზრი, რომელსაც ბოლო ხანებში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა თეორიული ჟურნალების ფურცლებზე, რომ თუ კინემატოგრაფი უფრო გრძნობისა და ასოციაციების ხელოვნება უნდა იყოს, ტელევიზია შეკეცნებითი და აზროვნების ხელოვნების დარგი უფრო არისო. ნაწარმოები ფორმით კამერულია, მაგრამ ამ ფორმაში რა აზრიც რეჟისორმა ა. ნინუამ მოათავსა, უთუოდ საყურადღებოა. ამ ფილმმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია და ფესტივალზე მეორე პრემია დაიმსახურა.

ეს ფაქტი კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ საშუალებას გვაძლევს თანდათან გამოვკვეთოთ სატელევიზიო ფილმის ერთ-ერთი თავისებურების არსიც. ეს კი უფრო დაგვაშორებს სატელევიზიო ფილმის უზეიო ფილმად მონათვლის ყბადაღებულ „თეორიას“.

ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმებიდან ყველაზე მეტი სანახარული მოგვანიჭა ხარკოვის ტელესტუდიის ნაწარმოებმა „მინიჯი და სხვები“. იგი მოგვითხრობს ხარკოვის ტროლეიბუსის ქმოლის შინოვის საინტერესო მუშაობის მეთოდზე, აგრეთვე მეგობრებთან მის დამოკიდებულებაზე.

რით მოხიბლა ამ ფილმმა-რეპორტაჟმა მაყურებელი და ჟიური (მან ორი ჯილდო დაიმსახურა)?

სატელევიზიო ფილმი, რა სახისა და ჟანრისაც უნდა იყოს იგი, მაყურებელმა უნდა აღიქვას, როგორც „ცოცხალი“ გადაცემა. და მით უფრო სრულყოფილია ტელეფილმი ფორმის თვალსაზრისით, რაც უფრო მეტად შეუქმნის მაყურებელს ილუზიას, რომ ფილმი არ არის გადადებული ფირზე, არ არის წინასწარ რეჟისორის მიერ დამონტაჟებული, მსახიობის მიერ წინასწარ გახმოვანებული. შესაძლებელია თუ არა ამის პრაქტიკულად განხორციელება? თურმე შესაძლებელია.

ასათი ილუზია რომ შექმნა, ღრმად უნდა იცნობდე მასალას და მისი სწორი ანალიზის უნარი შეგწევდეს. ფილმს სცენარის ავტორი, რეჟისორი და კონსულტანტი ს. ზელიკინი მოვლენების განვითარებისათვის იყენებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეთოდს. იგი უყურადღებოდ, და რაც მთავარია, უკომენტაროდ არ ტოვებს თვით „უმნიშვნელო“ დეტალსაც კი.

1908 წელს, როცა ლ. ტოლსტოის პირველად ნახა ეკრანზე ამოძრავებული ფოტოსურათები, აღტაცებულმა წამოიძახა: „ამიერიდან ჩვენ შეკეთლნ ფირზე აღვბეჭდოთ რუსული ცხოვრება ისეთი, როგორიც ის არის სინამდვილეში. ჩვენ აღარ დავგეშრდება ისტორიის გამოგონება“. ლ. ტოლსტოის აზრით კინემატოგრაფიული გადმოცემა არ ითვალისწინებს, რასაკვირველია, ყველას და ყველაფრის შეურჩეველად, უტეხმოთავაზებულ ფილმში „ირონ ბაბაჯანიანი — შენი თანამედროვე“ (რეჟისორი ვ. ზახარიანი) მრავლად არის შესული მხატვრული ელემენტები, მაგრამ იგი დასრულებული დოკუმენტური ნაწარმოები უფროა. ამიტომ გაკვირვება გამოიწვია მისმა მონაწილეობამ მხატვრული ფილმების კონკურსზე. მეტიც, მასში გამოყენებულია სინქრონული რეპორტაჟის ხერხი, ფარული კამერით გადაღების მეთოდი, „გმირების“ ხშირი ინტერვიუები.

ფილმში დაცულია მხატვრული ხერხებისა და ქვეტექსტების ზომიერება. იგი ღრმა და აკადემიურია, კომპოზიტორს ვხედავთ, როგორც ჩვენს თანამედროვეს, ა. ბაბაჯანიანი წარმოდგენილია, როგორც სიმფონიური და კამერული შესაკის ძირსეული წარმომადგენელი.

ფილმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ფორმალისტური გატაცება საგიორნჩელო კონცერტის შესრულების დროს, რაც არაფერს მატებს ნაწარმოებს, აგრეთვე ფინალური ცეკვა.

მხატვრული ფილმებიდან ჟიურიმ ყველაზე მეტი უპირატესობა მიანიჭა მოსკოვის გვერთიანება „ტელეფილმის“ ნაწარმოებს „მაიორ ვიხრს“...

ცალკე ჩიტარდა ფერადი ფილმების ჩვენება, მაგრამ მან აღტაცება ვერავის მოჰგვარა .ფერი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მაშინ, როცა იგი რთულ ამოცანას, გამოსახვით ამოცანას, იდეას ემსახურება. მაყურებელმა ფერადი ფილმის გარეგნულ სილამაზესთან ერთად უნდა შეიმეცნოს მხატვრის მიერ ფერით გადმოცემული დრამატიზმი. ის პოზიცია, რომელსაც იგი ფერის მიმართ იკავებს, მაყურებლის პოზიციაც უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმები ძალიან ღარიბულად გამოიყენებოდნენ. თბილისის ტელესტუდიის ნაწარმოები „რუსთაველის ნაკვალევზე“ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა პრემიებგმულ ფილმებს.

დოკუმენტური ფილმების სიმრავლის მიუხედავად (62 სატელევიზიო ფილმი), მათი პროფესიული ხარისხი შედარებით დაბალი იყო.

ჯელევიზორის ეკრანი სწრაფად ამიშვლებს მციროდენ სიყალბესაც კი. ეს ყველამ კარგად იცის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფფის ტელესტუდიის ნაწარმოებებში „ცაშკირეთის მიანეობებთან“ გვთავაზობდნენ ამკარა ინსცენირებებს, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა დოკუმენტურ მასალასთან.

სატელევიზიო ეკრანზე ფაქტის აღდგენის მეთოდი რთულზე რთულია, მით უმეტეს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სფეროში.

რიგის ტელესტუდიის ფილმი „მზოლოდ მიწა და ადამიანები“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მართალია, მხატვრული ღირსებების თვალსაზრისით ბევრ დავას იწვევს, მაგრამ ზრდნვა და ინტერესი სოფლის მნიშვნელოვანი გარდაქმნებისადმი ფილმში კარგად არის წარმოდგენილი.

ფესტივალზე მიღებული ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილებების გამო ძნელია ერთბაშად დასკვნების გამოტანა. ჩვენს გონების თვალს საკმაოზე მეტი მასალა დაუგროვდა და ამის გამო არაერთხელ კვლავ დაკუბრეულებით ნანახსა და გაგონილს. ერთი კი ცხადია — მოსკოვში განსაკუთრებული სიმწვავით გამოაშკარავდა ჩვენი სატელევიზიო ფილმის მიღწევები და, ცხადია, სუსტი მხარეებიც.

ნ. ლეონიძე,
დოცენტი.

ახალი კინესკოპი ფერადი ტელევიზიისათვის

მოსკოვის ელექტროვაკუუმის ქარხნის ინჟინრებმა შექმნეს ახალი კინესკოპი ფერადი ტელევიზიისათვის, რომლის ეკრანის დიაგონალი 65 სანტიმეტრია. ფერად გამოსახულებას ქმნის სამი ლუმინოფორი: წითელი, მწვანე და ლურჯი.

ახლა ახალი კინესკოპი წარმატებით გადის ლაბორატორიულ გამოცდას.

სურათზე: ინჟინერი მიხეილ სტეპანოვი იკვლევს ფერადი ტელევიზიისათვის განკუთვნილი ახალი კინესკოპის ლაბორატორიულ ნიმუშებს.

ფოტო რ. ალფიმოვისა (ახალი ამბების სააგენტო).

შემთხვევა

მონტიორის სიმამაცე

დარიალის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ხეობაში ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა.

ყაზბეგის ელესლების კანტორის ახალგაზრდა მონტიორი გურამ ჭუშაშვილი ის იყო ელექტრობაზების დათვალიერებას მორჩა და შინ დაბრუნებას აპირებდა, რომ უეცრად მდინარე თერგის ნაპირზე რუხი ფერის მოძრავი საგანი შენიშნა.

მონტიორი შეჩერდა და კარგად დაკვირდა...

წერტილი წინ მოიწევდა და თანდათან დიდდებოდა.

— მგელი! — აღმოხდა გურამს და ნიფათის მოლოდინში მუშტივით შეიკრა. მაგრამ რით შეებრძოლოს გახელებულ ნადირს? ხელში ჯოხიც არ უჭირავს. მგელი, შურდულივით გამოქანდა...

მამაცი ახალგაზრდა არ დაიბნა. მგელს ყელში სწვდა და ელვის სისწრაფით მიწაზე დასცა.

მგელმა გაიბრძოლა, მაგრამ მის ყელს მარჯვე ახალგაზრდის მძლავრი ხელები მარწუხივით უჭერდა.

ნადირი ამოად ცდილობდა თავის განთავისუფლებას. ხუთ წუთში ყველაფერი მორჩა. გაგუდული მგელი ტომარასავით უძრავად ეგდო მიწაზე.

ვ. ჩქარეული,
ყაზბეგის რაიონი.

ფეხბურთი — 68

1968 წლის საფეხბურთო სეზონი მრავალმხრივი და მიმზიდველი იქნება. „ა“ კლასის პირველ ჯგუფში ვიხილავთ 20 გუნდს, მეორე ჯგუფში — 80 კოლექტივს. XXX ჩემპიონატის ალამს აღმართავენ 6 აპრილს, პირველობა 12 ნოემბრამდე გაგრძელდება. კიევისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები, აგრეთვე დედაქალაქის „ტორპედო“, რომლებიც ევროპის ტურნირებში გამოდან, სტარტს პირველ აპრილს აიღებენ.

უმაღლესი ლიგის გუნდი, რომელიც პირველობაზე მეოცე ადგილს დაიკავებს გადავა „ა“ კლასის მეორე ჯგუფში, ხოლო მის ადგილს დაიკავებს ამავე ჯგუფში გამარჯვებული.

აპრილში დაიწყება აგრეთვე სსრ კავშირის თასის გათამაშება. უმაღლესი ლიგის ოცივე კოლექტივი ბრძოლაში ჩაებმება მეოექვსმეტედფინალიდან. უკვე შედგა წილისყრა. პირველ მატჩებში სსრ კავშირის თასზე კიევის „დინამო“ შეხვდება მოსკოვის „სპარტაკს“, ცსკა — დედაქალაქის „ლოკომოტივს“, ლუგანსკის „ზარია“ — ქუთაისის „ტორპედოს“, თასის გათამაშების ფინალი შედგება 8 ნოემბერს მოსკოვში.

„ფრანს-ფუტბოლის“ ანკეტა

პარიზი. 3 იანვარი. (საკუთრ.). ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს-ფუტბოლმა“ ტრადიციისამებრ გამოაქვეყნა ევროპის 1967 წლის უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდების სია. ამ სიას სათავეში ედგას **სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.** მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს იტალიისა და უნგრეთის ნაკრებმა გუნდებმა, და მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — ინგლისელი ფეხბურთელები.

„ფრანს-ფუტბოლის“ ჟურნალისტები განმარტავენ სიას და ალნიშნავენ, რომ სსრ კავშირის გუნდმა პირველობა მოიპოვა იმ დამაჯერებელ გამარჯვებათა შედეგად, რომლებიც იზეიმა ისეთ სეიროზულ მეტოქეებთან პაექრობაში, როგორიც არის შოტლანდიის, საფრანგეთისა და ჩილეს გუნდები. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ლამაზი ფრე მსოფლიოს ჩემპიონებთან ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე. სულ კი საბჭოთა ფეხბურთელებმა 1967 წელს გამარჯვეს თორმეტჯერ, ორჯერ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა და მხოლოდ ორი თამაში წააგეს.

კ. უზარაშვილი

გარდაეცვალა საყოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, პროკურატურის ნაწარმის გმირი, სამამული ომის - 1939 წლიდან მონაწილე, პენსიონერი ალექსანდრ ალოსმანის ძე უზარაშვილი.

კ. უზარაშვილი დაიბადა 1906 წელს გლეხის რაიონის სოფელ შეშელეთში ღარიბი გლეხის ოჯახში, დაბა გალში მიიღო არასრული საშუალო განათლება და ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა; მუშაობა დაიწყო ახლადშექმნილ კოლმეურნეობაში ბრიგადირად, ხოლო 1932 წლიდან 33 წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობა „შეშელეთს“.

კ. უზარაშვილი გმირული ომკაკეშირის იმ ერთგულ ჯარისკაცთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მშფოთვარე ოცდაათიან წლებში სიცოცხლესაც არ იშურებდნენ სოფლად საოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საუკუნის მესამედ ედგა იგი სათავეში შეშელეთელ კოლმეურნეებს და თავიანი დაუღალავი შრომით, კრისტალური პატიოსნებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით, მიწის მუშისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით მშრომელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. კ. უზარაშვილი მრავალჯერ იქნა არჩეული პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად, იგი იყო საკრებულოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის დეპუტატი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს უანგარო და თავდადებული საოლეურნეო მუშაკის ღვაწლი. ძას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

საკოლმეურნეო მოძრაობის ნიჭიერი ორგანიზატორის, სპეტაკი კომუნისტის, თავდადებული და გულისხმიერი ამხანაგის კ. უზარაშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ლ. ქაბოტინსკის ტრიუმფი

მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკში გაიმართა ძალოსანთა წინასაოლიმპიადო ასპარეზობა. მძიმე წონაში მსოფლიოს ყველა რეკორდის მფლობელმა ლ. ქაბოტინსკიმ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია. მან სამჭიდში აჩვენა ფენომენალური შედეგი — 600 კილოგრამი, რაც აღემატება მისსავე წინანდელ მსოფლიო რეკორდს. ლ. ქაბოტინსკიმ მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა აგრეთვე ატაცში — 185 კილოგრამი.

თეთრი ოლიმპიადის კონტრასტები

ბრენობლი ემზადება თეთრი ოლიმპიადისათვის. მისი სტუმარი იქნება 1540 სპორტსმენი.

ყველაზე მეტი მონაწილე ეყოლება ამერიკის შეერთებულ შტატებს — 119. შემდეგ არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 106, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და საფრანგეთი — 95-95, ავსტრია და სსრ კავშირი 92-92 სპორტსმენი.

კუბერმანი თუ ანდრეიკო?

თბილისში მიმდინარეობს **ი. კუბერმანისა** და **ა. ანდრეიკოს** მატჩი ასუჯრედიან შაშში მსოფლიოს პირველობაზე.

მეორე პარტიაში პრეტენდენტი — **ანდრეიკო** თეთრებით თამაშობდა. 53-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. გუშინდელ მესამე პარტიაშიც ყაიმი აღინიშნა, ანგარიშია 1,5:1,5.

სპორტული ქრონიკა

◆ **სსრ კავშირის ჰოკეისტთა პირველმა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მონაწილეობდა ტრადიციულ ტურნირში ბრაუნის მემორიალზე, უკანასკნელ მატჩში დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრები 11:3 და პირველი ადგილი დაიკავა.**

◆ **ესტერსუნდის** რაიონში (შვეცია) გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო გადარბენაში. ქალთათვის 5 და ვაჟთათვის 11 კილომეტრზე. წარმატება ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს **რ. აჩკინასა** და **ვ. ვორონკოვს,** რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

◆ **1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში მონაწილეობა რაოდენობით ბევრად გადააჭარბებს წინანდელ პირველობებს. უკვე 72-მა ქვეყანამ ოფიციალურად განცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს „ოქროს ქალღმერთისათვის“ ბრძოლაში.**

გაზეთ „კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 6 იანვარს.

ჯ. ი. კანდელაკი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი ს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ბედიანის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია. თემაზე: **„მუცლის აორტის ტერმინალური ნაწილის და მისი დისტალური ტოტების მამობლიტერებელი ათეროსკლეროზის შორსწასული ფორმების ადგენითი ქირურგია“** (კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევა).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსონან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ჯ. ი. კანდელაკისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ამინდის მზვერავები

...სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრში 1 იანვარს ღამით რვა მორიგე სინოპტიკოსი აანალიზებდა ამინდის მზვერავ საგუშაგოთა ოპერატიულ ცნობებს. როგორც ყოველთვის გაფუწყვეტლივ მუშაობდა ტელეტაიპები, აქ ნორმად ითვლება 40 ათასი ცნობა დღეღამეში.

ცნობებს ტემპერატურის, ატმოსფერული წნევის, ნალექების შესახებ სპეციალისტები სწრაფად „აქცევდნენ“ ფერადი ციფრების, წრალდი რიცხვების, დახლართული საკონტურო ხაზების ფერად სვეტებად. სინოპტიკოსთა გაანგარიშებანი, ადგილებიდან მიღებული ცნობები ინჟინრებმა გადასცეს ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანას, რომელმაც დაუყოვნებლივ და მიუდგომლად „გამოთქვა“ თავისი აზრი.

ყოველივე გათვალისწინებულია და სინოპტიკოსთა წინაშეა „დღეღამის კლიმატის“ ყოველდღიური რუკა. ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო საქმე მოელით — ჩვენს ქვეყანას უნდა მისცენ ამინდის ოპერატიული პროგნოზი. სხვადასხვა აზრი თუ წარმოიშვა (ზოგჯერ ასეც ხდება), გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის უფროსი.

ამჯერად აზრი ერთსულოვანი იყო. სინოპტიკოსებმა გარიკრაკადმე მოგვცეს ახალი წლის პირველი სამუშაო დღის ამინდის პროგნოზი. რა თქმა უნდა, ეს პროგნოზი დაზუსტდება, მაგრამ ძირითადი მახასიათებლები უკვე ცხადია.

— კურილის კუნძულებზე კვლავ ძლიერი ქარია, — თქვა მთავარმა სინოპტიკოსმა ს. ვ. ჩეელიეკანოვამ. — კამჩატკის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ სწრაფად იცვლის ადგილს ციკლონი. იქაც შტორმის ბარს მოელიან. ჩუკოტკაში ქარბუქია, იაკუტიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში ყინვა მძვინვარებს (მინუს 50 გრადუსი),

როგორც ჩანს ამ დღეებში თბილამურებით ლაშქრობა ჩაეშლება უკრაინის, ბელორუსიისა და შავიზღვისიადაგიანი ზონის ბევრი რაიონის მოსწავლეებს. აქ ამინდმა, მოულოდნელი სიურპრიზი გვაჩუქა: ხმელთაშუა ზღვიდან შემოიკრა ბაერის თბილი ნაკადები. სამხრეთის ციკლონს სითბო მოჰყვება: თოვლის ნაცვლად მოწვიმს და აქაც მოყინვაა მოსალოდნელი. შავი ზღვის სანაპიროზე კი გაზაფხულის ამინდი იქნება —თერმომეტრები უჩვენებენ 17-19 გრადუს სითბოს.

ჩვენი ქვეყნის ცენტრალური რაიონების მცხოვრებლებს ჯერ-ჯერობით საძდურავი არ ეთქმით წლეულდელ ზამთარზე. პატარა ყინვაც იყო, ცოტა თოვლიც. მაგრამ ერთი-ორი დღის შემდეგ აქაც მოაღწევენ ხმელთაშუა ზღვის ბაერის თბილი ნაკადები: მოსალოდნელია თოვლ-ჭყაპი და ყინვიანობა.

...პროგნოზის მოკლე ცნობებში ჩაქსოვილია ასობით ადამიანის შრომა. ამინდის მზვერავები ყოველთვის საგუშაგოზე არიან.

დ. სმირნოვი.
საკდესის კორ.
მოსკოვი, 2 იანვარი.

ბარიტის უდიდესი საგადო

ექვსი მილიონი ტონა — ასეთია ჩვენი ქვეყნის უდიდესი — აფშრის ბარიტის საბადოს მარაგი, რომელიც აღმოჩენილია გუდაუთის მახლობლად. საბადოს ექსპლოატაცია შეიძლება სულ ცოტა 30 წელს. მას ასათვისებლად ძნელ, მთიან პირობებში, ზღვის დონიდან 1650 მეტრ სიმაღლეზე, გაიყვანენ ორმოცკილომეტრიან გზატეხილს სატვირთო მანქანებისათვის.

ექსპლოატაცია იწარმოებს ღია წესით, საბადოს რაიონში გაშენდება დაბა. (საკდესი).

მატარებელი მიდის ყინულზე

ამურის კომსომოლსკი, 3 იანვარი. (საკდესი). პირველად ამ ზამთარს დღეს რკინიგზის შემადგენლობამ გაიარა მდინარე ამურზე ყინულის გადასასვლელით, რომელიც აგებულია სიბაბუკის ქალაქის რაიონში. დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა კომსომოლსკ-სოვეტსკაია გავანის უბანზე.

ყინულის რკინიგზის ხიდის გადების მრავალი წლის პრაქტიკაში პირველად შორეულადმოსავლეთელმა მელიანდაგებმა გამოიყენეს ხით ყინულის დაარმატურება. ამით სულ უფრო ჩქარა იზრდება მდინარის ფარვატერად საშიში ადგილების ყინულის საფარი.

სსრ კავშირის ალმასის ფონდი





მოსკოვის კრემლში, საჭურველის პალატაში გაიხსნა სსრ კავშირის ალმასის ფონდის გამოფენა. ძვირფასი ქვების უნიკალური კრებული შეიცავს რუსული ფერადი ქვების მთელ პალიტრას, უბადლო სილამაზის ბრილიანტებს, მსოფლიოში უდიდეს ზურმუხტს, ქრიზოლითს, საფირონს, თვითნაბად ოქროს.

მნახველთა განსაკუთრებულ უურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდის შვიდი ისტორიული ქვა. ექსკურსანტები დიდ ინტერესს იჩენენ იმ ალმასებისადმიც, რომლებიც უკანასკნელ წლებში ნაპოვნია იაკუტიაში, კიმბერლიტის მილ „მირში“.

ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე — სსრ კავშირის ალმასის ფონდი დედაქალაქის საზღვარგარეთელ სტუმართა დიდ ინტერესს იწვევს.

სურათებზე: ზემოთ — ალმასი „ორლოვი“ — მსოფლიოში ცნობილი 189,62-კარატიანი ქვა, სსრ კავშირის ალმასის ფონდის შვიდი ისტორიული ქვიდან ერთ-ერთი. პირველი კლასის სიწმინდის კრისტალი გათლილია, მაღალი ინდური ვარდის სახით. ნაპოვნია XVII საუკუნის დამდეგს. ქვემოთ — სსრ კავშირში ნაპოვნი ყველაზე დიდი თვითნაბადი ოქრო — ამჟამად უდიდესია მსოფლიოში არსებულთაგან. ნაპოვნია სამხრეთ ურალში. მისი წონაა 36015,7 გრამი, სინჯი — 900,6.

ტელევიზია

4 იანვარი

10.00 — კინონარკვევი, 10.10 — მუსიკალური კალეიდოსკოპი — საესტრადო პროგრამა— I იანვრის კონცერტის განმეორება, 11.05—სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15— მოსწავლეთათვის — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მივიწყებული ციხესიმაგრის აჩრდილები“ (მესამე ნაწილი), 11.50 — უნგრული მხატვრული ფილმი „გულქვა კაცის შვილები“ (I და II სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საბავშვო“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — კინონარკვევი, 19.25 — საუბარი — „რატომ და როგორ ეგუება რელიგია თანამედროვეობას“, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.10 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „დიდი და პატარა“, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — სოპერეტა მუსიკის კონცერტი.

5 იანვარი

09.55 — ქართული მხატვრული ფილმი „მამლუქი“, 11.30 — მოსწავლეთათვის — ბალეტ „გორდას“ ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მივიწყებული ციხე-სიმაგრის აჩრდილები“ (მეოთხე ნაწილი). 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა „ხუთწლედი ეადაზე ადრე“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „თქვენ გიხმობთ დიდი ქვეყანა“, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — ტელეპანორამა „სატელევიზიო ცნობათა ბიურო“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — ისაკ დუნაევსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო (გადაცემა მოსკოვიდან), 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — მხატვრული ფილმი „რა შეეთხზა ანდრეს ლაპეტეუსს“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვოვლისეილოთ

თეატრები

4 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), ტოსკა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ჩვენ, მისი უდიდებულესობა“... (დღისით), ხოგაის მინდია (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია ბაღდასარი (დღისით), წმინდანები ჯოჯოხეთში (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი (დღისით), „ნინო“ (საღამოს).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-96-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-98, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16,90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03103 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.